ცნება დროის მასშტაბის შესახებ და მისი კავშირი სივრცისა და შინაარსის მასშტაბებთან

თენგიზ გორდეზიანი

ელ-ფოსტა: tengiz.gordeziani@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

ამჟამად კარტოგრაფიის თეორიაში ცნობილია სამი სახის მასშტაბი; 1) სივრცის მასშტაბი, რომელიც ფუნქციონირებს მასშტაბიდან მასშტაბზე გადასვლისას და ვლინდება აბსტრაჰირების ხარისხის სახით; 2) განზოგადების მასშტაბი, რომეციც ასევე მასშტაბიდან მასშტაბზე გადასვლისას ფუნქციონირებს და ვლინდება განზოგადების ხარისხის სახით; 3) დროის მასშტაბი, რომელიც ამჟამად კვლევის პროცესშია და ვლინდება, მოვლენათა დინამიკის ასახვის პროცესში. დროის მასშტაბი განიმარტება, როგორც დროის ხშირი სკალიდან გაიშვიათებულ სკალაზე გადასვლის ლოგიკური ფორმა. მას რამდენიმე დეფინიცია გააჩნია. განსაკუთრებით საინტერესოა დროის მასშტაბის საკითხის კვლევა ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების დღე-ღამურ მდგომარეობათა (ე. წ. სტექსების) კარტოგრაფირების პროცესში. იგი პირდაპირ კავშირშია სივრცისა და შინაარსის მასშტაბებთან. დროის მაშტაბის შემტხვევაში წინა პლანზე გამოდის დროითი სინთეზის კარტოგრაფიული ფორმა, რომლის საბოლოო შედეგსაც წარმოადგენს ერთი კონკრეტული რუკა, რომელიც ასახავ ერთი კონკრეტული მოვლენის დინამიკას დროის გარკვეული მონაკვეთისათვის (1 თვე, სეზონები, 1 წელიწადი).